

სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების როლი განვითარებად ქვეყნებში,  
საქართველოს მაგალითზე

ლედი სურმანიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,  
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საბანკო და საფინანსო საქმე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი დანელია, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლედი სურმანიძე

24.06.2024

## აბსტრაქტი

ეს ნაშრომი იკვლევს სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების როლს განვითარებად ქვეყნებში, განსაკუთრებით საქართველოს მაგალითზე, და ადარებს მას უკრაინის, სომხეთის და ყაზახეთის პრაქტიკასთან. კვლევის მიზანია შეაფასოს საქართველოს სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების ეფექტურობა და გააანალიზოს მათი გავლენა მცირე ბიზნესის განვითარებაზე.

კვლევა იყენებს შერეულ მეთოდებს, რაც მოიცავს რაოდენობრივ კვლევას 101 შემთხვევით შერჩეული რესპონდენტისგან და თვისებრივ ინტერვიუებს საგადასახადო ექსპერტთან და ბიზნესმენტთან. რაოდენობრივი კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი იცნობს სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების კონცეფციას და უმრავლესობა აღნიშნავს, რომ აღნიშნული რეჟიმები ხელს უწყობს მცირე ბიზნესის განვითარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თვისებრივი ინტერვიუები აჩვენებს, რომ სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები ხელს უწყობს ბიზნესის გამარტივებასა და ადმინისტრაციული ტვირთის შემცირებას.

რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესისათვის, თუმცა საჭიროა დამატებითი რეგულაციები და ცვლილებები. ამ დასკვნებზე დაყრდნობით, რეკომენდაციებია სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების გაუმჯობესება და მორგება თანამედროვე ბიზნეს მოთხოვნებზე. სპეციალური დაბეგვრის რეჟიმები მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის, მაგრამ მათი გაუმჯობესება აუცილებელია უფრო ეფექტური ბიზნეს გარემოს შესაქმნელად.

## **Abstract**

This thesis explores the role of special tax treatments in developing countries, specifically using Georgia as a case study, and compares these practices with those in Ukraine, Armenia, and Kazakhstan. The research aims to evaluate the effectiveness of Georgia's special tax treatments and analyze their impact on the development of small businesses.

The study employs a mixed-methods approach, including a quantitative survey of 101 randomly selected respondents and qualitative interviews with a tax expert and a businessman. The findings from the quantitative research indicate that a significant portion of respondents are familiar with the concept of special tax treatments, with most noting that these regimes support small business development.

Qualitative interviews reveal that special tax treatments facilitate business simplification and reduce administrative burdens.

Respondents emphasize that special tax treatments are crucial for small businesses, though additional regulations and modifications are necessary. Based on these conclusions, recommendations include enhancing and adapting special tax treatments to meet modern business demands. Special tax treatments are vital for Georgia's economic development, but improvements are needed to create a more effective business environment.